იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი

АИУСТИЦИЕИ, АТӘЫЛАУААРАТӘ ИНТЕГРАЦИЕИ АЗҬААРАҚӘА РЗЫ
АҒЬСНЫТӘИ АВТОНОМТӘ РЕСПУБЛИКА АМИНИСТРРА АППАРАТ

ბრძანება

N 143
30/12/2019

143-02-4-201912301746

ქ.თბილისი

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-13 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122 -ე და 123-ე მუხლებისა და ,,იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 ნოემბრის №56 დადგენილებით დამტკიცებული იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის დებულების მე-5 მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ“ და ,,რ“ ქვეპუნქტების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული:

ა) იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის (შემდგომში - მინისტრის აპარატი) შინაგანაწესი (დანართი N1);

ბ) მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში დასწრების ფორმა (დანართი N2);

გ) მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლების ფორმა (დანართი N3);

დ) სამივლინებო ფურცელი (დანართი N4);

ე) შემოვლის ფურცელი (დანართი N5);

ვ) მინისტრის აპარატის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა დაშვების საშვის ფორმა

0160, საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16; ელ-ფოსტა: justice@abkhazia.gov.ge
16 Vazha-Pshavela ave., Tbilisi, Georgia, 0160; email: justice@abkhazia.gov.ge

(საშვი) (დანართი N6);
ზ) საშვის გარეშე დასაშვებ პირთა სია (დანართი N7).
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მიზნებისათვის მინისტრის აპარატის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვისა და ინსპექტირების სამმართველომ უზრუნველყოს:
ა) მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის სამსახურებრივი მიმოწერის დანერგვა;
ბ) ყოველი თვის 20 რიცხვამდე „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის მინისტრის აპარატის ბუღალტრისთვის წარდგენა;
გ) მინისტრის აპარატის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველომ (....) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
დ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, ა. კალანდაძის ქ., N7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ფაცაცია

მინისტრი

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი